ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N22 საცხოვრებელი სახლის N43 ბინაზე, მოქალაქე ადა კუდეიაროვასათვის მის წილზე საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა დავით აღმაშენებლის გამზირი N22 საცხოვრებელი სახლის N43 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ადა კუდეიაროვას განცხადება /2012 წლის 20.11 Nკ–9543/, რითაც ითხოვს მის წილზე საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N22 საცხოვრებელი სახლის N43 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო" ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N22 საცხოვრებელი სახლის N43 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მის წილზე მოქალაქე ადა კუდეიაროვას.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N22 საცხოვრებელი სახლის N43 ბინაზე /საერთო ფართობი 57,99 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 32,24 კვ.მ, დამხმარე ფართობი 25,75 კვ.მ./ მოქალაქე ადა კუდეიაროვას სახელზე მის წილზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი ბ.ბრეგაძე